განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

შპს ფრანგული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
გიორგი ნებიერიძე
წევრ(ებ)ი:
მაკა მამფორია

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ფრანგული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245438281

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, ა. გრიბოედოვის №67
საფოსტო ინდექსი	6010
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.franguliskola.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	frangulib@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0422 27 06 62

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	შპს ფრანგულ სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 მაისის ბრძანება № MES 5 26 0000591593.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 27 მაისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შპს „ფრანგული სკოლის“ ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 მაისის № MES 5 26 0000591593 ბრძანების საფუძველზე.

დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2026 წლის 27 მაისს. მონიტორინგის დაწყების საფუძველი გახდა ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ სავალდებულო ანგარიშგების ვალდებულების შესრულების შემოწმება. კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლას არ ჰქონდა შესრულებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08 ოქტომბრის №1311798 ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასების ფორმის შევსებასა და შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე წარდგენას დადგენილ ვადებში.

მონიტორინგის ძირითად საგანს წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტი მე-3 _ „სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა“. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მასალები. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები საჭიროებდა დამატებით გადახედვას, ურთიერთშეთანხმებულობისა და შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერებას.

ვიზიტის ფარგლებში ასევე ჩატარდა გასაუბრებები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეფასების პროცესმა საშუალება მისცა ექსპერტთა ჯგუფს, დოკუმენტური მტკიცებულებების გარდა, გაცნობოდა დაწესებულებაში არსებულ პრაქტიკებსა და პროცესების რეალურ განხორციელებას.

მონიტორინგის ვიზიტი წარიმართა საქმიან, მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. სკოლის წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ ექსპერტთა ჯგუფთან, დროულად წარმოადგენდნენ მოთხოვნილ ინფორმაციასა/დოკუმენტაციას და უზრუნველყოფდნენ შეფასების პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
120	116

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები.

მესამე სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორი: 3.5.1.4 შეფასდა _„ნაწილობრივ შეესაბამება“. ინდიკატორები: 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.4.1.3; 3.5.1.4; 3.6.2.4; შეფასდა _ „მეტწილად შეესაბამება.

ინდიკატორი 3.1.2.2; 3.2.1.3; 3.3.1.1; 3.6.2.1; 3.6.2.2; 3.6.3.5 - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც „სრულად შეესაბამება

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პირად საქმეებში განათავსოს: ნასამართლობის შესახებ ცნობა; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და შესაბამისი უფლების ჩამორთმევის არარსებობის შესახებ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (16.07.2026 - მდე)*
ინდიკატორი N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პოზიციებზე მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პირების დასაქმება. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10.09.2026- მდე)*
ინდიკატორი N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს:* ➢ *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;* ➢ *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	➢ *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპვება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (17.06.2027- მდე)*
ინდიკატორი N 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მომარაგება პირველადი საჭიროების მედიკამენტებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.09.2026- მდე)*
ინდიკატორი N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლამ უზრუნველყოს:* ➢ *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესაბამის უწყებასთან შეთანხმება;* ➢ *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციაზე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.09.2026- მდე)*
ინდიკატორი N 3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12.12.2027- მდე).*
ინდიკატორი N 3.6.2.4.	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელი უწყებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშის დროული წარდგენა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (29.10.2026- მდე).*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ავტორიზაციის ვიზიტის პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ <u>აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული იყო 2023 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად,</u> თუმცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ რელევანტურია სკოლის ინსტიტუციური განვითარების შეფასებისათვის.
დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლამ მეტწილად გაითვალისწინა წინა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები.

- *საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით, სკოლამ უზრუნველყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზება.*
- *ამავე მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის ეფექტიან ფუნქციონირებას. კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტებსა და სკოლაში არსებულ პრაქტიკას შორის იკვეთება შეუსაბამობები, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები არ ატარებს სისტემურ და ციკლურ ხასიათს.*
- *მატერიალური რესურსების სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ცალკეული დოკუმენტები (მათ შორის მისია და შინაგანაწესი), თუმცა კვლავ არ არის სრულად უზრუნველყოფილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობა.*
- *რაც შეეხება ექიმის ფუნქციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა აღნიშნული პოზიციის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების სრულყოფილი რეგლამენტირება იმ მასშტაბით, როგორც ეს რეკომენდაციით იყო განსაზღვრული.*
- *სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, თუმცა მათი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დოკუმენტები საჭიროებს შემდგომ დახვეწას. კერძოდ, აუცილებელია სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებსა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ აქტივობებს შორის ლოგიკური კავშირისა და ურთიერთთავსებადობის გაძლიერება, ასევე შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის მიდგომების განვითარება.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წინა ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულებულია, თუმცა რიგ მნიშვნელოვან მიმართულებებში კვლავ რჩება გასაუმჯობესებელი საკითხები, რაც საჭიროებს სკოლის მხრიდან დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (III სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

შპს ფრანგული სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია და ფუნქციონირებს საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობრივი პოზიციები. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: დირექტორის მ/შ, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და ადამიანური რესურსების (HR) მართვის სპეციალისტი, სკოლის ექიმი, სკოლის ექთანი, ბიბლიოთეკარი, ლაბორანტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი, დასუფთავების სპეციალისტი და მასწავლებელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათ შორის თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შრომითი ხელშეკრულებებით არის განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის, თანამდებობის პირისა და თანამშრომლის ფუნქციები, უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულების ფარგლები.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები საქმიანობას ახორციელებენ უფლებამოსილებათა მკაფიო გადანაწილების პირობებში და ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში. შესაბამისად, **3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განაწილებული. უფლებამოსილებათა განაწილება შეესაბამება თითოეული პოზიციის ფუნქციურ დატვირთვას და უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას.
სკოლის მართვისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები ურთიერთშემავსებელ ხასიათს ატარებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვას, ასევე სკოლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებას. გარდა ამისა, ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა და კოორდინაცია.
ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წინაპირობებს, ხელს უწყობს გადაწყვეტილებების დროულ მიღებას, პასუხისმგებლობების გამიჯვნასა და სასწავლო პროცესის მართვას. **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლებამოსილებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტაციის ანალიზისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს თანამშრომელთა შერჩევის, დასაქმების, უფლებამოსილებების განსაზღვრისა და საქმიანობის ორგანიზების პროცესების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკურსების მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის გზით, შესაბამისი ვაკანსიების teacherjobs.ge-ზე გამოქვეყნების საფუძველზე. ამასთან, კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის ფორმირებისა და კანდიდატთა შეფასების პროცედურები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის კანონმდებლობასთან შესაბამისი მექანიზმები. **3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პროცესების მარეგულირებელი მექანიზმები. თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა გარემოებები, რომლებიც ზღუდავს აღნიშნული პროცესების სრულფასოვან პრევენციულ და საჭიროებებზე დაფუძნებულ ხასიათს. კერძოდ, სკოლაში არ ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრთა სისტემური გამოკითხვები ან სხვა ფორმალური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც მოხდებოდა პერსონალთან დაკავშირებული საჭიროებების, გამოწვევებისა და რისკების რეგულარული იდენტიფიცირება და ანალიზი. შესაბამისად, სკოლა ნაკლებად ფლობს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებებისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია პერსონალის მართვის პროცესის პრევენციული ხასიათის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ექსპერტთა

ვიზიტის პერიოდში საქმისმწარმოებელი არ იმყოფებოდა სამუშაო ადგილზე, ხოლო მისი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სხვა უფლებამოსილ პირზე დელეგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ცალკეული ადმინისტრაციული ფუნქციების უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები საჭიროებს დამატებით გაძლიერებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, არსებული პრაქტიკა სრულად ვერ უზრუნველყოფს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მიდგომების ეფექტიან განხორციელებას.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.1.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულებები: პერსონალის საჭიროებების, რისკებისა და სამუშაო გარემოს რეგულარული იდენტიფიცირების მიზნით შემუშავებული სპეციალური კითხვარები და ფორმალური პროცედურა, რაც დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01-03/005; 01.06.2026;); „პერსონალის საჭიროებებისა და რისკების გამოკითხვის ანალიტიკური ანგარიში“. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. შესაბამისად, 3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, თანამშრომლის მიღების წესის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატების მოზიდვის, შეფასებისა და დასაქმების მექანიზმებს. მასწავლებელთა ვაკანსიები ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ის პლატფორმის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნასა და კანდიდატებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის ფორმირება და კანდიდატთა შეფასების პროცედურები რეგულირდება შესაბამისი შიდა აქტებით და შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. თუმცა, თანამშრომელთა პირადი საქმეების

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზი. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში, მასწავლებელთა პირად საქმეებში არ იყო განთავსებული ნასამართლობის შესახებ ცნობა, ასევე ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და შესაბამისი უფლების ჩამორთმევის არარსებობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან საფუძველს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის დასაქმების კანონიერებისა და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისათვის.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.06.2026 -16.07.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პირად საქმეებში განათავსოს: ნასამართლობის შესახებ ცნობა; ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და შესაბამისი უფლების ჩამორთმევის არარსებობის შესახებ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (16.07.2026 - მდე). 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შპს ფრანგულ სკოლაში დასაქმებულია 34 თანამშრომელი, მათ შორის 24 მასწავლებელი. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მასწავლებელთა შემადგენლობაში შედის 15 უფროსი მასწავლებელი, 1 მაძიებელი მასწავლებელი და 8 მოწვეული მასწავლებელი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალებისა და მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (teacherjobs.ge) შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე ახორციელებდა ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსების გამოცხადებას, რაც მიზნად ისახავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვასა და შერჩევას.

მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ რამდენიმე მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ადასტურებს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. კერძოდ, მათ არ აქვთ ჩაბარებული შესაბამისი საგნის გამოცდა, რაც საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული მასწავლებლები რეგისტრირებულნი არიან შესაბამის გამოცდაზე, თუმცა ვიზიტის მომენტისთვის მათი კვალიფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა დოკუმენტურად არ დასტურდებოდა. გარდა ამისა, გამოვლინდა შეუსაბამობა მოწვეული მასწავლებლების დასაქმების ნაწილში. კერძოდ, მოწვეული მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული პოზიცია/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოება წინააღმდეგობაში მოდის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც მოწვეული მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომლის სამუშაო დატვირთვა არ აღემატება მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტს. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ მიუხედავად სკოლის მცდელობისა, მოიზიდოს კვალიფიციური კადრები და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განხორციელება შესაბამისი ადამიანური რესურსით, ცალკეულ შემთხვევებში პერსონალის დასაქმებისა და დატვირთვის პრაქტიკა სრულად არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.06.2026 - 10.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა პოზიციებზე მოქმედი კანონმდებლობითსა და დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პირების დასაქმება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (10.09.2026- მდე). 3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების დაგეგმვისა და განხორციელებისას უზრუნველყოფილია თანამშრომელთა ჩართულობა მათ კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომელთა საქმიანობა ურთიერთკოორდინაციისა და თანამშრომლობის პრინციპებს ეფუძნება, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან წარმართვასა და დაწესებულების მიზნების მიღწევას. გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში არ გამოვლენილა გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა თანამშრომელთა მონაწილეობის შეზღუდვაზე ან გუნდური მუშაობის ხელშემშლელ პრაქტიკებზე. სასკოლო საზოგადოების წევრებმა დაადასტურეს, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოთქვან მოსაზრებები, გაუზიარონ ადმინისტრაციას რეკომენდაციები და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ორგანიზაციულ პროცესში. **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშო შესრულებისა და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებული წვლილისთვის დასაქმებულთა მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების აღიარებას, მოტივაციის ზრდას და პოზიტიური პრაქტიკის წახალისებას.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობენ პრაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობს წარმატებული გამოცდილების გავრცელებას სასკოლო საზოგადოებაში, მათ შორის თანამშრომელთა პროფესიული გამოცდილების გაზიარება სამუშაო პროცესში, კოლეგიალური კომუნიკაცია და საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას და მის ინტეგრირებას სასკოლო საქმიანობაში. წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების არსებული პრაქტიკა ქმნის პოზიტიურ ორგანიზაციულ გარემოს,

რომელიც ორიენტირებულია პროფესიული განვითარების მხარდაჭერასა და წარმატებული გამოცდილების გავრცელებაზე სასკოლო დონეზე. **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

შპს ფრანგული სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების, პროფესიული საჭიროებების გამოვლენისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროცესებს. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში სკოლა იყენებს ხარისხის მართვის მონიტორინგის რამდენიმე ინსტრუმენტს, მათ შორის დაკვირვება-შეფასების მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას.

წარმოდგენილი ხარისხის მართვის მონიტორინგის მასალებითა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ახორციელებს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას და აგრეთვე ესწრება მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. პერიოდულად ამოწმებენ სხვა პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოებს და გასცემენ სიტყვიერ უკუკავშირს. გამომდინარე აქედან, სკოლას გააჩნია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. შესაბამისად, **3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში ადმინისტრაციის წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებიან მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. დაკვირვების შედეგების საფუძველზე განისაზღვრება როგორც მასწავლებელთა ძლიერი მხარეები, ისე განვითარების საჭიროებები. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებსა და პერსონალის საჭიროებებს. კერძოდ, თანამშრომლები მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიული განვითარების ღონისძიებაში, მათ შორის ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიულ კონსულტაციებში, რომლებიც მიმართულია გამოვლენილი საჭიროებების დაძლევისა და პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისკენ. **3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში დასაქმებული 24 მასწავლებლიდან 15 ფლობს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, ხოლო 1 მასწავლებელი მაძიებლის სტატუსით საქმიანობს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლა ქმნის პირობებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, კომპეტენციების გაძლიერებისა და კარიერული წინსვლისთვის. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ძირითადად უკავშირდება მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერას. მონიტორინგის პროცესში ვერ გამოიკვეთა სხვა კატეგორიის თანამშრომლების (ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის) პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობის სისტემური მექანიზმები, შესაბამისი გეგმები ან განხორციელებული აქტივობები. ასევე, სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა აღნიშნული კატეგორიის თანამშრომელთა პროფესიული ზრდის, კვალიფიკაციის ამაღლების ან კარიერული განვითარების შესაძლებლობების დაგეგმილ და თანმიმდევრულ მხარდაჭერას.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულებები: სამიზნე ჯგუფისთვის (ადმინისტრაციული, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის) საჭიროებების კომპლექსური კვლევა და შედეგების ანალიზი; პროფესიული განვითარების გეგმები; ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის სამუშაო შეხვედრის ამსახველი ოქმი. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. შესაბამისად, 3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია თანამშრომელთა უფლებამოსილებები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ახალ თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს საქმიანობის დაწყების ეტაპზევე გაეცნონ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებსა და სამუშაო პროცესის ორგანიზების წესებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებას სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და შიდა რეგულაციების შესახებ.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში სასკოლო საზოგადოება აქტიურად უჭერთ მხარს. თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, გადაწყვეტილების მიღების

პროცესებზე და მათ კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული ხელს უწყობს ახალ თანამშრომელთა ეფექტიან ჩართულობას სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში.
ამასთან, მონიტორინგის პროცესში არ გამოვლენილა გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესის შეფერხებაზე ან მათთვის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემშლელ ფაქტორებზე. პირიქით, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა თანამშრომლობითი და მხარდამჭერი სამუშაო გარემო, რაც ახალ თანამშრომლებს ორგანიზაციის საქმიანობაში სრულფასოვანი ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის მადლობის გამოცხადებას, საპატიო სიგელით დაჯილდოებასა და ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემას. გარდა ფორმალური მექანიზმებისა, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში გამოიყენება თანამშრომელთა სიტყვიერი წახალისების პრაქტიკაც. კერძოდ, ადმინისტრაციის წარმომადგენლები საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შემდეგ მასწავლებლებს აძლევენ პოზიტიურ უკუკავშირს, აღნიშნავენ მათ ძლიერ მხარეებს, წარმატებულ პრაქტიკებსა და მიღწეულ შედეგებს, რაც მასწავლებლების მიერ აღიქმება როგორც პროფესიული საქმიანობის აღიარებისა და მოტივაციის მნიშვნელოვანი საშუალება.
მაგალითად, წარმატებით ჩატარებული გაკვეთილის, მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის, ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენების ან სასკოლო აქტივობებში განსაკუთრებული მონაწილეობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია საჯაროდ ან ინდივიდუალური კომუნიკაციის ფარგლებში გამოხატავს მადლიერებასა და დადებით შეფასებას, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული მოტივაციის ზრდასა და განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს. **3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის, შიდა მარეგულირებელი აქტებისა და მონიტორინგის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესები.

თუმცა, დოკუმენტაციის ანალიზისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრული პროცესები სრულად არ აისახება

სკოლის რეალურ საქმიანობაში. კერძოდ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ყველა ეტაპის_ დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, შედეგების ანალიზისა და გაუმჯობესების ღონისძიებების_სისტემური და ურთიერთდაკავშირებული განხორციელება. მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ სკოლა ახორციელებს ცალკეულ შეფასებით და მონიტორინგის აქტივობებს, თუმცა მათი შედეგების საფუძველზე დაგეგმილი ცვლილებების, განხორციელებული გაუმჯობესების ღონისძიებებისა და შემდგომი შეფასების ციკლური კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და ნაკლებად ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულებები: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ციკლის (PDCA) მატრიცა; ერთიწლიან სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილება; განახლებული სკოლის დებულება; მომზადებული ანგარიშები. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. შესაბამისად, 3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დოკუმენტაციაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანი პროცესები, მათ შორის სტრატეგიული და ოპერაციული მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ფინანსური რესურსების მართვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საქმისწარმოება და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა. აღნიშნული პროცესების ფარგლებში აღწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, უფლებამოსილებები და ფუნქციები. მონიტორინგის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დადასტურდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სხვადასხვა პროცესის დანიშნულება და მათი როლი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. ამასთან, მმართველობითი პროცესები დაკავშირებულია სკოლის მართვასთან, ძირითადი პროცესები_ სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვასა და

განხორციელებასთან, ხოლო დამხმარე პროცესები_ იმ რესურსებისა და სერვისების უზრუნველყოფასთან, რომლებიც აუცილებელია ძირითადი პროცესების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. **3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში რეგულირებულია პერსონალისა და მოსწავლეების დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. კერძოდ, შინაგანაწესი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების სახეებს, შესაძლო სახდელებსა და გადაწყვეტილების მიღების ზოგად პროცედურებს.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა რომლის დროსაც საჭირო გახდებოდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია შესაძლებლობა შეეფასებინა სისტემის ეფექტიანობა და ფუნქციონირება პრაქტიკაში. გამომდინარე აქედან **3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშომელთა ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას: სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნებს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებს და წლის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობებს.

გარდა ამისა, სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად ტარდება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან, სადაც განიხილება მიმდინარე სასწავლო და საგანმანათლებლო საკითხები.

ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს (faceebook - მშობლებთან და მოსწავლეებთან სპეციალური ფორმით შეთანხმებულია პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დოკუმენტი), სადაც რეგულარულად ქვეყნდება განცხადებები, სიახლეები და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

ინფორმაციის მიწოდების აღნიშნული სისტემა აძლევს სკოლას საშუალებას არა მხოლოდ დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას, არამედ მიიღოს უკუკავშირიც. **3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და სამუშაო ფორმატი, რომლის ფარგლებში თანამშრომლები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების საკითხებში. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოთქვან მოსაზრებები სასწავლო და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებსა და სამუშაო განხილვებში, ასევე წარადგინონ ინიციატივები სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.
ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლებთან კომუნიკაციას და მათ ინფორმირებას სასკოლო პროცესების შესახებ. მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობასა და კომუნიკაციაში, რაც ხელს უწყობს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

შპს ფრანგულმა სკოლამ მონიტორინგის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; აგრეთვე სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთანსაგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებისადმი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ამასთან, სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ სასწავლო პროცესისთვის გამოყენებული ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს სკოლის შესაძლებლობას დაადასტუროს, რომ დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო გარემო მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.06.2026 - 17.06.2027. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან; შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპვება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (17.06.2027- მდე). 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საშტატო განრიგის და ადგილზე ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია სკოლის ექიმი და სკოლის ექთანი. მონიტორინგის ფარგლებში ასევე დადასტურდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით. თუმცა, სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების შეფასების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან მიმართებით.

კერძოდ, სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23 ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული აუცილებელი მედიკამენტების შესყიდვის ან ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად, ვერ დადასტურდა, რომ სამედიცინო კაბინეტი სრულად არის უზრუნველყოფილი პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებითა და მედიკამენტებით.

ამასთან, მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ სკოლაში არ იწარმოება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალები, რაც ზღუდავს სამედიცინო მომსახურების აღრიცხვიანობის, მონიტორინგისა და კონტროლის შესაძლებლობას.

<u>სკოლამ 3.4.1.2. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა: შესაბამისობის გეგმა; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პირველადი დახმარების აუცილებელი სამედიცინო საშუალებებისა და მედიკამენტების სავალდებულო ნუსხა; კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო აღრიცხვის სავალდებულო ჟურნალები. შესაბამისობის გეგმით უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.06.2026 - 15.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მომარაგება პირველადი საჭიროების მედიკამენტებით შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.09.2026- მდე). 3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა რიგი მნიშვნელოვანი შეუსაბამობები. კერძოდ, უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს არ აქვს გავლილი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგი, რაც აუცილებელია შესაბამისი ფუნქციების ეფექტიანად და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად შესასრულებლად.

გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შემუშავებული, დამტკიცებული და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული იქნებოდა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სისტემის ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებელ მექანიზმს და განსაზღვრავს პრევენციის, რეაგირების, პასუხისმგებლობებისა და მოქმედების პროცედურებს სხვადასხვა რისკისა და ინციდენტის შემთხვევაში.

<u>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.06.2026 - 15.09.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შესაბამის უწყებასთან შეთანხმება; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის პოზიციაზე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.09.2026- მდე). 3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**</u>**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

წარმოდგენილი დოკუმენტებით რეგულირებულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა ქცევასთან, დისციპლინურ პასუხისმგებლობასა და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებული საკითხები. შინაგანაწესი განსაზღვრავს ძალადობის, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, დისკრიმინაციული ქმედებებისა და სხვა არასათანადო ქცევის დაუშვებლობას, რაც ემსახურება სასკოლო გარემოში უსაფრთხო და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამკვიდრებას.

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ადმინისტრაციას მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 1 დამლაგებელი (დასუფთავების სპეციალისტი), რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

შპს ფრანგულს კოლას ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ აღნიშნული ოფიცერი პერიოდულად ახორციელებს ადგილზე ვითარების შემოწმებას, აფასებს მონაცემთა დაცვის პრაქტიკას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს არსებული პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, სკოლის საქმიანობაში იკვეთება პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პრაქტიკა, მათ შორის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია უფლებამოსილი პირებისთვის და დაცულია კონფიდენციალურობის ზოგადი მოთხოვნები. **3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის საქმიანობაში მუშავდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი მონაცემები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ადმინისტრაციული ჩანაწერები. აღნიშნული

ინფორმაცია ინახება ადმინისტრაციულ დონეზე და მასზე წვდომა შეზღუდულია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის, რაც წარმოადგენს ინფორმაციის დაცვის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ და თავიანთ საქმიანობაში ითვალისწინებენ შესაბამის წესებს. ასევე დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია აკონტროლებს ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი განმარტებებისა და მითითებების გაცემას.
3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცალკეული პრაქტიკული მექანიზმები, მათ შორის პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, დისციპლინური წესრიგის რეგულირება და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების ზოგადი წესები. ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ოპერატიულ რეაგირებას სასკოლო გარემოში წარმოქმნილ საკითხზე და ცდილობს მათი დროული მოგვარების უზრუნველყოფას.
3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს ფრანგული სკოლა სასწავლო საქმიანობას ერთ მისამართზე განთავსებულ სამ სართულიან შენობაში ახორციელებს. სკოლა მდებარეობს: ქალაქი ბათუმი: ა. გრიბოედოვის №67. აღნიშნული სამ სართულიანი ნაგებობა 08/11/2024 (იჯარის ხელშეკრულება 2030 წლამდეა გაფორმებული) წლის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით განთავსებულია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. სკოლისათვის შენობის იჯარით გადაცემული ფართი შეადგენს 500 კვ.მ.. მეიჯარე: შპს საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სინათლე". მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.27.31.014. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. თითოეულ კლასში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და საჭირო სასწავლო ინვენტარი, რომელიც სკოლის საკუთრებას წარმოადგენს. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს მცირე სპორტულ დარბაზს, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახებს, სამედიცინო კაბინეტს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციულ ოთახებს, სამასწავლებლოს და სხვა დამხმარე სივრცეებს. **3.5.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საერთო სარგებლობის სივრცე, რომლებიც განკუთვნილია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: კომპიუტერული ოთახი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციას; საბუნებისმეტყველო საგნებისთვის განკუთვნილი ოთახი; ფოიე, დერეფნები და ეზო წარმოადგენს ფუნქციურ სივრცეებს, რაც იძლევა სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. მაშასადამე **3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სასკოლო ბიბლიოთეკის მასალების შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია სკოლის საკუთრებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი (ბეჭდური, ფოტო და ვიდეო-მასალა). შესაბამისი დებულებით და გეგმით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკის მიზნები: საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მკითხველთა მოთხოვნების მიხედვით. საბიბლიოთეკო ფონდების დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ბიბლიოთეკის მკითხველთა უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციით. **3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული და ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ: სკოლის შიდა სივრცეებში არ არის დამონტაჟებული პანდუსი ან/და ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე შშმ პირის გადაადგილებას (ვიზიტის პერიოდში სკოლაში შშმ პირი არ ირიცხებოდა). ეტლით მოსარგებლე პირისათვის ხელმისაწვდომი არ არის საკლასო ოთახები, კომპიუტერული ოთახი. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

<u>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და საპროექტო დავალება 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.06.2026 - 12.12.2027. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (12.12.2027- მდე). 3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.**</u>

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით რამდენიმე კლუბებს და აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის ფოიეს, დერეფნებს და საკლასო ოთახებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. **3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ოთახი. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პირი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა. **3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში განთავსებულია საზიარო სამუშაო სივრცე და კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის და მასწავლებლისთვის. აღნიშნული სივრცე იძლევა შესაძლებლობას კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის საშინაო დავალებების მოსამზადებლად, პრეზენტაციების შესაქმნელად, ონლაინ ჟურნალში მუშაობისთვის, ასევე ტრენინგებისა და სხვა სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. **3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რაც წარმოადგენს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვისა და ადმინისტრაციული პროცესების რეგულირების საფუძველს.
თუმცა, წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი ატარებს ზოგად ხასიათს და არ განსაზღვრავს საქმისწარმოების ყველა არსებით პროცედურას დეტალურად. კერძოდ, მატერიალური ჟურნალების სარეგისტრაციო ნემრების თანმიმდევრობას, დოკუმენტში არასაკმარისად არის გაწერილი დოკუმენტების რეგისტრაციის, კლასიფიკაციის, შესრულების კონტროლის, არქივირების, შენახვის ვადების საკითხები. მონიტორინგის პროცესში სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალი, რაც ვერ უზრუნველყოფს შემოსული, გასული, შიდა ადმინისტრაციული, საკადრო და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის სრულფასოვან აღრიცხვიანობასა და მიკვლევადობას.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.6.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულებები: საქმისწარმოების განახლებული ინსტრუქცია (დირექტორის ბრძანება N 01-03/001; 01.06.2026) და საქმეთა ნომენკლატურა. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. შესაბამისად, 3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა საქმიანობის განხორციელების პროცესში იყენებს ცალკეულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონულ კომუნიკაციის საშუალებებსა (ელ.ფოსტას).
თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში ვერ დადასტურდა, რომ სკოლის მართვის პროცესები სრულად ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემურ გამოყენებას. კერძოდ, სკოლაში არ არის დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციას, მოძრაობის კონტროლს, შესრულების მონიტორინგს, ელექტრონულ არქივირებასა და ინფორმაციის სწრაფ მოძიებას.
ამასთან, ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დოკუმენტაციის მართვა ძირითადად ხორციელდება მატერიალური დოკუმენტებისა და ცალკეული ელექტრონული ფაილების გამოყენებით, რაც ვერ უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის პროცესების სრულფასოვან ავტომატიზაციასა და ეფექტიან მართვას.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.6.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა შპს "უნივერსთან" გაფორმებული ხელშეკრულება (17/06/2026) ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ლიცენზიის დროებით საგრებლობაში გადაცემის შესახებ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „შეესაბამება". შესაბამისად, 3.6.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. **3.6.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ანგარიშგების ვალდებულების შესრულების მიმართულებით. კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლამ არ უზრუნველყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08

ოქტომბრის №1311798 ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყოველწლიური თვითშეფასების ფორმის შევსება და წარდგენა დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული ბრძანებით ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს დაეკისრათ ვალდებულება, ყოველწლიური თვითშეფასება შეევსოთ სპეციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე განსაზღვრულ ვადებში. თვითშეფასების პროცესი წარმოადგენს ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ემსახურება დაწესებულების საქმიანობის სისტემურ ანალიზს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებასა და ხარისხის უწყვეტ განვითარებას.
სკოლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა მიუთითებს, რომ დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო მარეგულირებელი უწყებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშის დროული წარდგენა, რაც გახდა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების საფუძველი.
სკოლამ, 3.6.2.4 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დირექტორის ბრძანება (N 01-03/002; 01.06.2026 - 2026 წლის 01 ნოემბრამდე მარეგულირებელი უწყებისთვის წარსადგენი პერიოდული თვითშეფასების ანგარიშის მომზადების სამუშაოჯგუფის შექმნისა და შიდა ვადების დამტკიცების შესახებ), სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.06.2027 - 29.10.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელი უწყებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშის დროული წარდგენა შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (29.10.2026- მდე). 3.6.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- Eschool -ის და ელ.ფოსტის - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://frenchschool.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრების ამსახველი სიახლეები. დამრიგებლის სამუშაო გეგმა განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. **3.6.3.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს ოფიციალურ ვებ.გვერდს (https://frenchschool.ge/) სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ოფიციალური ვებ -გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში. **3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი (https://frenchschool.ge/). სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ქართულ ენაზე. **3.6.3.4. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებგვერდი არ შეიცავს ინდიკატორით გათვალისწინებულ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას. კერძოდ, ვებგვერდზე არ არის განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია, გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.

<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მტკიცებულება (https://frenchschool.ge/), რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ვებ.გვერდი შეიცავს სტანდარტით განსაზღვრულ ინფორმაციას. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. შესაბამისად, 3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ოფიციალური ვებ.გვერდის დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის 2026 წლის ბიუჯეტის, I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ფინანსური რესურსების მართვისა და ბიუჯეტის მონიტორინგის წესის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განაწილებისა და მონიტორინგის სისტემური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების ფინანსურ მხარდაჭერას.

სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადახდილი სწავლის გადასახადი, რაც წარმოადგენს დაწესებულების ფინანსური მდგრადობის ძირითად საფუძველს. აღნიშნული რესურსები მიმართულია სასწავლო პროცესის ორგანიზების, ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისკენ.
წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტი ასახავს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო მიზნების შესაბამის ფინანსურ დაგეგმვას, ხოლო I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ადასტურებს ფინანსური რესურსების დაგეგმილი მიმართულებებით გამოყენებასა და ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის პრაქტიკას. ამასთან, ფინანსური რესურსების მართვისა და ბიუჯეტის მონიტორინგის წესით განსაზღვრულია ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობასა და მიზნობრიობას. **3.7.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ დირექტორის N01-09/62 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ფრანგული სკოლის“ ფინანსური რესურსების მართვისა და ბიუჯეტის მონიტორინგის წესის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში დანერგილია ფინანსური რესურსების მართვის სისტემური და სტრუქტურირებული მექანიზმი.
აღნიშნული წესით განსაზღვრულია სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, კონტროლისა და მონიტორინგის ერთიანი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური მართვის პროცესების ორგანიზებულობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტი ადგენს ბიუჯეტირების ძირითად პრინციპებს, მათ შორის სამოქმედო გეგმასთან ბიუჯეტის მიბმას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, ფინანსური პროცესების დინამიკურობასა და დაფინანსების დივერსიფიკაციას, რაც ხელს უწყობს ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას ობიექტური ანალიზის საფუძველზე. **3.7.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტის შესრულება I კვარტალი 2026;

- შპს ფრანგული სკოლა - 2026 წლის ბიუჯეტი;
- შპს „ფრანგული სკოლის“ ფინანსური რესურსების მართვისა და ბიუჯეტის მონიტორინგის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 22.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: